დანართი

LEADER/CLLD მიდგომაზე დაფუძნებული
ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„LEADER/CLLD მიდგომაზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამა“ (შემდგომში - პროგრამა) ითვალისწინებს, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩართულობით, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების ხელშესაწყობად ადგილობრივად მეწარმეობის განვითარებას, გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების მხარდაჭერას, ბუნებრივი რესურსების ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობას; ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მიერ, შემუშავებული „LEADER ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებზე“ დაყრდნობით, მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, პროგრამის ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მიზნები და ამოცანები

1. პროგრამის მიზანია სოფლად სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა.

2. პროგრამის ამოცანებია:

ა) ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების სტიმულირება, მათ შორის სოციალური ინოვაციების გზით, რომელიც ხელს უწყობს გენდერულად დაბალანსებული და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას და მეწარმეობას სოფლად;

ბ) სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლის ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ახალი, გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენებით;

გ) გარემოს დაცვა და მწვანე განახლება სოფლად, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. პროგრამის განმახორციელებლები არიან ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და ადგილობრივი განვითარების ჯგუფ(ებ)ი.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **LEADER** - კავშირი სოფლის ეკონომიკასა და განვითარების ქმედებებს შორის.

ბ) **CLLD** - თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება

გ) **პოტენციური ბენეფიციარი** - საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული (გარდა ადგილობრივი განვითარების ჯგუფისა) იურიდიული პირი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი არ ფლობს წილს/პაის/აქციას;

დ) **პროგრამის ბენეფიციარი** - საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი არ ფლობს წილს/პაის/აქციას, რომელთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება, გარდა ადგილობრივი განვითარების ჯგუფისა;

ე) **ხელშეკრულება** - სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ვ) **თანადაფინანსება** – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ ბენეფიციარზე გაცემული ფულადი სახსრები;

ზ) **ადგილობრივი განვითარების ჯგუფი** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული ადგილობრივი სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლ(ებ)ისგან შემდგარი გაერთიანება, მათ შორის, ევროკავშირის დაფინანსებით, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში შექმნილი ჯგუფები, რომლებსაც გავლილი აქვთ სამინისტროს ავტორიზაცია;

თ) **შეფასების კომიტეტი** - პროგრამის ფარგლებში განაცხადისა და ბიზნეს მოდელის/გეგმის დამტკიცების მიზანშეწონილობისა და მიმდინარე საკითხების შესახებ გადაწყვეტილებ(ებ)ის მისაღებად ადგილობრივი განვითარების ჯგუფში შექმნილი შიდა კომიტეტი, რომელიც უნდა შედგებოდეს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლ(ებ)ისგან;

ი) **პროექტი** - პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადით წარმოდგენილი პროექტი, რომელიც შესაძლებელია დააფინანსოს სააგენტომ;

კ) **ბიზნეს მოდელი/გეგმა** - განაცხადით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების დეტალური გეგმა;

ლ) **ასოცირებულ წევრი** - წევრი, რომელიც არ არის ჩართული ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი ორგანოს საქმიანობაში.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი და ბიუჯეტის გადანაწილების წესი

1. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, სადაც შექმნილია ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, მათ შორის, ევროკავშირის დაფინანსებით, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში და რომლებსაც წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, გავლილი აქვთ სამინისტროს ავტორიზაცია.

2. მუნიციპალიტეტებს შორის პროგრამის ბიუჯეტის განაწილება მოხდება პროპორციულად მოსახლეობის რაოდენობის (სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე) მიხედვით.

3. პროგრამის ბიუჯეტიდან ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებას მოხმარდება თითოეული მუნიციპალიტეტისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის არაუმეტეს 2%, რომელიც გამოიყოფა ყოველ კალენდარულ წელს. ამასთან, დანარჩენი ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება მოხდება ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის ნაწილიდან, დასაფინანსებელი პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 5%-ის მოცულობით.

მუხლი 6. პროგრამის თანადაფინანსების პირობები

1. სააგენტოს თანადაფინანსება ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრულია არაუმეტეს 30,000 ლარით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ს.

2. ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ფულადი სახსრები (როგორც საკუთარი, ასევე საფინანსო ინსტიტუტიდან მიღებული სესხი/ლიზინგი). პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 60%-ის ოდენობით.

მუხლი 7. პროექტების დასაშვებობა და პროგრამის ხარჯების მიზნობრიობა

1. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ახალი სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას, ასევე არსებული საქმიანობის გაფართოება/მოდერნიზებას.

2. არ დაფინანსდება პროექტები, რომლებიც უკავშირდება:

ა) სამხედრო, ბირთვულ, სპირტის და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას;
ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად წარმოებას;
გ) სათამაშო ბიზნესს და აზარტულ თამაშებს;

დ) საფინანსო მომსახურებას (მათ შორის, სალომბარდო);
ე) საქველმოქმედო საქმიანობას;
ვ) ვაჭრობას;
ზ) სასტუმროს/კვების ობიექტის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯებს.

3. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალების შესყიდვა/შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებას. მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ა) ხარჯი გაწეულია დამტკიცებული პროექტის ბიუჯეტის თანახმად;
ბ) გაწეული და გადახდილია პროგრამის განხორციელების პერიოდში;
გ) მიზნობრივი და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად;
დ) შეესაბამება ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას.

4. პროგრამა არ ითვალისწინებს შემდეგი ხარჯების დაფინანსებას:
ა) გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
ბ) ნებისმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტი ან ვალი;
გ) კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული დანაკარგი, მოსაკრებელი, ჯარიმა, საურავი და პირგასამტეხლო;
დ) ნებისმიერი ხარჯი, რომელიც უკავშირდება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, გადაშენების პირას მყოფი სახეობების განადგურებას, ყალბ და პირატულ საქონელს;
ე) უძრავი ქონების (მათ შორის, მიწის) შეძენა;
ვ) ადამიანური რესურსის სამსახურეობრივ მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯები;
ზ) საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
თ) სატრანსპორტო საშუალების შეძენა, გარდა სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებებისა, რომელიც აუცილებელი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის;
ი) სხვა ყველა ხარჯი, რომელიც შეიზღუდება ხელშეკრულებით.

მუხლი 8. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

პროგრამით გათვალისწინებული თანდაფინანსების მისაღებად:

ა) პროექტის განსახორციელებლად შერჩეული უძრავი ქონება, უნდა იყოს პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრირებული სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ან/და მიღებული უნდა ჰქონდეს იჯარით/აღნაგობით, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი განაცხადის წარმოდგენის დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 წელს);

ბ) უძრავ ქონებას, არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული საფინანსო ინსტიტუტების იპოთეკა).

მუხლი 9. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი და შეფასების კომიტეტი

1. პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი განვითარების ჯგუფად კვალიფიცირების დასადასტურებლად სავალდებულოა სამინისტროს ავტორიზაცია.

2. ავტორიზაციისთვის განაცხადების მიღებისა და ავტორიზაციის წესს ამტკიცებს სააგენტოს გამგეობა, ხოლო ავტორიზაციაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო.

3. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ავტორიზაციის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მისი ნებისმიერი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მიზნობრივ ტერიტორიაზე სასოფლო დასახლებებისთვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიტანისკენ;

ბ) პროგრამის ფარგლებში, უნდა შეძლოს მოსახლეობის მობილიზება და მათთვის პროგრამის პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, წარმართოს განაცხადების მიღება, პროექტების განხილვა, დაფინანსების დამტკიცება ობიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინებით, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგი;

გ) უნდა ჰქონდეს შემუშავებული LEADER ადგილობრივი განვითარების სტრატეგია;

დ) საჯარო სექტორს შესაძლოა წარმოადგენდნენ საჯარო უწყებების მიერ წარდგენილი ადგილობრივი საჯარო მოხელეები, მათ შორის, ცენტრალურ დონეზე არსებული უწყებების წარმომადგენლები შესაბამისი სამოქმედო არეალის რეგიონულ ფილიალებში;

ე) ასოცირებული წევრის სტატუსით შესაძლებელია გაწევრიანებული იყოს საარჩევნო ასაკის არმქონე ახალგაზრდები 15 წლიდან, რაც მიზნად ისახავს მათ გაზრდილ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

ვ) მმართველი რგოლის შემადგენლობა განსაზღვრული უნდა იყოს არანაკლებ 7 და არაუმეტეს - 30 წევრით და მმართველი რგოლის შემადგენლობის განსაზღვრისას რეკომენდირებულია გენდერული ბალანსის დაცვა;

ზ) საქმიანობის ფუნქციური არეალი განსაზღვრული უნდა იყოს მის მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში და არ უნდა სცილდებოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს;

თ) ნებისმიერი მუნიციპალიტეტი შეიძლება განეკუთვნებოდეს მხოლოდ ერთი ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიზნობრივ ტერიტორიას.

ი) ადგილობრივი განვითარების ჯგუფი გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ხმათა უმრავლესობით, სადაც ხმათა არანაკლებ 51% ეკუთვნის სამოქალაქო ან/და კერძო სექტორს.

4. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, საკუთარი წესდების საფუძველზე, უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს მართვის სტრუქტურა და მუშაობის წესი ამ დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და სააგენტოს მიერ განსაზღვრული პროცედურების დასაკმაყოფილებლად.

5. პროგრამის ფარგლებში შეფასების კომიტეტის წევრების შემადგენლობასა და შეფასების კომიტეტის დებულებას განსაზღვრავს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ პროგრამის პროცედურასთან.

6. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი პროგრამის ფარგლებში, მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 10. ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ განაცხადისა და ბიზნეს მოდელის/გეგმის განხილვა

1. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და ბიზნეს მოდელის/გეგმის შეფასება მოხდება ამ დადგენილების, სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროცედურის პირობებისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად დადგინდება წარმოდგენილი განაცხადისა და ბიზნეს მოდელის/გეგმის პროგრამის, სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროცედურის პირობებისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებულ სტრატეგიასთან შესაბამისობა, პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ განაცხადებსა და ბიზნეს მოდელს/გეგმას ადგილობრივი განვითარების ჯგუფი განიხილავს შეფასების კომიტეტზე.
3. პროგრამის ფარგლებში, განაცხადებისა და ბიზნეს მოდელის/გეგმის დაფინანსების შესახებ, დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შეფასების კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით, სადაც ხმათა არანაკლებ 51% ეკუთვნის სამოქალაქო ან/და კერძო სექტორს.

4. შეფასების კომიტეტი, შესაბამისი სამოქმედო არეალში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინებით და ობიექტურობის სრული დაცვით, იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას განაცხადისა და ბიზნეს მოდელის/გეგმის თანადაფინანსების დამტკიცების შესახებ.

5. დამტკიცებული განაცხად(ებ)ის პირობების და პარამეტრების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ადგილობრივი განვითარების ჯგუფი უგზავნის სააგენტოს.

მუხლი 11. დამტკიცებული განაცხად(ებ)ის ხარისხობრივი შემოწმება სააგენტოს მიერ

1. მიღებული დამტკიცებული განაცხად(ებ)ისა და მისი პარამეტრების პროგრამის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სააგენტო ახორციელებს მათ ხარისხობრივ შემოწმებას.
2. შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილია ადგილობრივ განვითარების ჯგუფს მოსთხოვს შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება ან/და დამტკიცებული თანადაფინანსების პირობები/პარამეტრები პროგრამასთან და დამტკიცებული პროცედურასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
3. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხობრივი შემოწმების შედეგად დადგინდება დამტკიცებული განაცხადის შესაბამისობა პროგრამის პირობებთან სააგენტო იწვევს ბენეფიციარს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მუხლი 12. ბენეფიციარის ვალდებულებები

1. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, დაადასტუროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის აუდიტორული დასკვნით ან/და აღნიშნული ვალდებულების შესრულებას დაადასტურებს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი;

ბ) უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსების თანხების ხარჯვის აღრიცხვა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობის და პროგრამის პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს სააგენტოს მიერ საველე/დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა;

დ) სააგენტოს/ადგილობრივი განვითარების ჯგუფს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, მონიტორინგის და კონტროლის მიზნით, მიაწოდოს უტყუარი, დროული და სრული ინფორმაცია განხორციელებული პროექტის შესახებ (მათ შორის, დასაქმებული პირებისა და გაწეული ხარჯების შესახებ);

ე) არ შეაფერხოს სააგენტოს/ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები, პროექტის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;

მუხლი 13. პროგრამის პროცედურა

პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის განაცხადის მიღების, განხილვის, დამტკიცებისა და თანადაფინანსების გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაციასთან კონსულტაციით,

რომელიც სავალდებულო შესასრულებელი იქნება პოტენციური ბენეფიციარებისა/ბენეფიციარებისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მიერ.

მუხლი 14. პროგრამის მონიტორინგი

1. პროგრამის მიზნობრიობის შესრულების კონტროლს განახორციელებენ ადგილობრივი განვითარების ჯგუფები მათ მიერ დამტკიცებული წესის საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს სააგენტოს მიერ დამტკიცებულ პროგრამის პროცედურასთან.
2. პროგრამის დოკუმენტურ მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული წესის საფუძველზე, ასევე სააგენტო უფლებამოსილია ბენეფიციარს მოსთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის აუდიტორული დასკვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.
3. სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობისა და პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე შემოწმებითა და დოკუმენტური მონიტორინგით.